კალიგრაფიული შრიფტი

ფონტის ტექნიკური გამართულობის საბაზისო კრიტერიუმები შემუშავებულია Typeface.ge-ს მიერ გამოცდილ ფონტის დიზაინერებთან კონსულტაციის შედეგად. კრიტერიუმების მიზანია დავეხმაროთ დიზაინერებს თავიანთი ფონტების ტექნიკურად გამართვაში და მაღალი ხარისხის ფონტების წარმოებაში.

01 სრული გარნიტური

[მოიცავს საბაზისო სიმბოლოების ნაკრებს]

ქართული მხედრული:

აბგდევზთიკლმნოპჟრსტუფქღყშჩცძწჭხჯჰ

ციფრები, ვალუტა და სასვენი ნიშნები:

0123456789

$€₾

.,:;…!?·•* #/\-–—_(){}[]‚„“”‘“‹›»‹›’”@&©|+–=><~^%

BASIC LATIN:

ABCDEFGHIJKLMNOPQRSTUVWXYZ

Abcdefghijklmnopqrstuvwxyz

სასურველი, არასავალდებულო:

ქართული მთავრული:

ᲐᲑᲒᲓᲔᲕᲖᲗᲘᲙᲚᲛᲜᲝᲞᲟᲠᲡᲢᲣᲤᲥᲦᲧᲨᲩᲪᲫᲬᲭᲮᲯᲰ

02 აწყობილია UNICODE სტანდარტით

ყველა სიმბოლოს კოდი შეესაბამება UNICODE-ში ამ სიმბოლოსთვის მინიჭებულ კოდს:

საბაზისო სიმბოლოების ნაკრები მოიცავს:

- Georgian
- Basic Latin (ASCII) (ლათინური და სასვენი ნიშნები)

სასურველი, არასავალდებულო:

- Georgian Extended (მთავრული სიმბოლოები)

UNICODE-ში ნებისმიერი სიმბოლოებისთვის მინიჭებული კოდები შეგიძლიათ მოძებნოთ ოფიციალურ საიტზე:

https://www.unicode.org/charts/

03 სისტემურად სწორად გამართული ფაილი

ფორმატი
TTF/OTF — 01

ფაილში სწორად გაწერილი ფონტის და სტილების სახელები
(light,regular, bold, italic ...) — 02

ფონტის მეტადატა შევსებული
(კოპირაითის, ლიცენზიის და დიზაინერის ინფორმაცია) — 03

ფონტი გამართულად უნდა მუშაობდეს MacOS და Windows სისტემებზე.
არ უნდა ქონდეს პრობლემა Adobe-სა და Microsoft-ის პროგრამებში

04

თუ opentype ფუნქციები აქვს ფონტს მათი გამართული მუშაობა
(ლიგატურები, კონტექსტური ალტერნატივები, სტილისტური ალტერნატივები...)

05

გამართული სფეისინგი და კერნინგი

06

სწორად მითითებული ვერტიკალური მეტრიკები
(სწორად გაწერილი ვერტიკალური მეტრიკები გულისხმობს:
სიმბოლოები სასურველია გასწორებული იყოს სტრიქონის ხაზზე. გარდა იმ შემთხვევისა, როცა სიმბოლოთა უსწორმასწორო განლაგება შრიფტის დიზაინის ნაწილია.
სტრიქონებს შორის მანძილი (Leading) სწორად ჩანს პროგრამებში.
სტრიქონების გამყოფი სივრცე სწორადაა დაყენებული - სტრიქონები არ ფარავს/ეჯახება ერთმანეთს, არაა ზედმეტად დიდი დაშორება.)

07

ჰინთინგი
(მინ.იმუმ აუტოჰინთინგი) ფონტის კარგი რენდერინგისთვის)

08

ფონტის ფაილის სისტემურად სწორად გასამართვის დეტალურ სახელმძღვანელოს შეგიძლიათ გაეცნოთ სტატიაში:

https://typeface.ge/ka/journal/++++

04 სუფთად აგებული დიზაინი

ზედმეტი (უფუნქციო) წერტილების გარეშე, თუ ამას არ მოითხოვს დიზაინი.

უკიდურესი წერტილები (extreme points) თავის ადგილას: ზედა, ქვედა, მარჯვენა და მარცხენა (მნიშვნელოვანია ჰინთინგისთვის)

05 მხედრული და მთავრული ერთ ფონტის ფაილშია მოთავსებული

შესაძლებელია ფონტს ქონდეს მხოლოდ **მთავრული, მხედრული, ნუსხური ან ასომთავრული.**

თუ ერთ ფონტს აქვს როგორც მხედრული, ისე მთავრული ვარიანტი - ორივე ერთ ფონტის ფაილში უნდა იყოს მოქცეული.

თუ ერთ ფონტს აქვს ერთზე მეტი ქართული ანბანი (მხედრული/მთავრული/ასომთავრული/ნუსხური) - ერთ ფონტის ფაილში უნდა იყოს მოქცეული.

შენიშვნა: საიტს დაემატა ახალი ქართული კლავიატურა. მისი საშუალებით შესაძლებელია ყველა ქართული სიმბოლოს აკრეფა: მხედრული, მთავრული, ასომთავრული, ნუსხური. ამისთვის ყველა სიმბოლოს უნდა ჰქონდეს შესაბამისი UNICODE კოდი.

კლავიატურას აქვს Windows და MacOS ვერსიები. ორივე მათგანი შეგიძლიათ გადმოიწეროთ გვერდიდან:

https://typeface.ge/ka/keyboard

06 უფლებრივად უნაკლო შრიფტი

დიზაინერი იღებს ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, რომ მის მიერ წარდგენილი შრიფტის საავტორო და ქონებრივი უფლებები ეკუთვნის მას და/ან აქვს შესაბამისი ნებართვა ამ უფლებების განკარგვისთვის.